ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N16

2016 წლის 29 თებერვალი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო-უნებართვო მშენებლობების შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო-უნებართვო მშენებლობების შესწავლის მიზნით შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი სამი თვის ვადით შემდეგი შემადგენლობით:

ივერი გუგუნავა - საკრებულოს ფრაქცია ,,გამარჯვებული ქობულეთი"-ს თავმჯდომარე- კომისიის თავმჯდომარე;

ვიტალი ქარცივაძე - საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ნათია თხილაიშვილი - საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

მამია ჟორდანია - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

ვალერი მოწყობილი - საკრებულოს ფრაქცია ,,პატრიოტები"-ს თავმჯდომარე -კომისიის წევრი;

ხვიჩა გამარჯობაძე - საკრებულოს წევრი - კომისიის წევრი;

არჩილ ჯინჭარაძე- საკრებულოს წევრი - კომისიის წევრი;

არჩილ ცენტერაძე - საკრებულოს წევრი - კომისიის წევრი;

2. დროებითმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო-უნებართვო მშენებლობების შესახებ საკითხი და წარმოადგინოს დასკვნა;

3. დროებითი სამუშაო ჯგუფის ხანგრძლივობა განისაზღვროს 2016 წლის 27 მაისამდე;

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ნ.ბეჟანიძე);

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**